საგაზეთო ჩანართი

ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№2 / 2010

განმანათლებლებმა, რომლებიც თემებში იმუშავებენ, სპეციალური ტრენინგი გაიარეს

„ადგილობრივი თვითმმართველობა და საარჩევნო სისტემა“ ასე ჰქვია ტრენინგს, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის „ჩვენი არჩევანი-რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში იმ ადგილობრივ განმანათლებლებს უტარდებს, რომლებიც კონკურსის შედეგად აჭარის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტის 63 თემში კონკურსის წესით შეირჩა.

საქართველოს კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, თვითმმართველობის არსი, თვითმმართველობის არჩევნები, საქართველოს საარჩევნო სისტემა, საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარების მეთოდოლოგია, პრაქტიკული ასპექტები, დასახლებული უბნების შერჩევა, საუბრის ტექნიკა – ეს იმ საკითხთა მცირე ჩამონათვალია, რომელთთა შესახებ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს ტრენერები: ირაკლი კახაძე, მიხეილ ანანიძე, იამზე შავაძე და რენა ფერცელიძე ტრენინგის მონაწილეებს აწვდიან ინფორმაციას.

ტრენინგი უკვე ჩაუტარდათ ქობულეთის, ხელვაჩაურის და ხულოს მუნიციპალიტეტებში შერჩეულ ადგილობრივ განმანათლებლებს, ხოლო ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტებში ტრენინგები დაგეგმილია მომავალი კვირისთვის. ტრენინგის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი.

ტრენინგის აქტუალობას და პროექტის განხორციელების საჭიროებას ხაზს უსვამენ, როგორც ტრენერები, ისე ტრენინგის მონაწილეები:

რენა ფერცელიძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს იურისტი, ტრენერი: „პროექტით გათვალისწინებული საკითხები რომ მნიშვნელოვანია, ამას მოწმობს მოსახლეობის აქტიურობა. როდესაც განმანათლებლების ვაკანსიაზე განაცხადებების მიღება დაიწყო, ვფიქრობდით, რომ მოსახლეობა ინერტული იქნებოდა, მაგრამ 93 ვაკანტურ ადგილზე 400-ზე მეტი განაცხადი შემოვიდა, რაც მოწმობს იმას, რომ პროექტის „ჩვენი არჩევანი-რეალური თვითმმართველობა“ მოსახლეობაში დიდ ინტერესს იწვევს.

როდესაც პროექტი დაიწყო, არ ვიცოდით ვის ავირჩევდით განმანათლებლებად, ამიტომ, ტრენინგები თავიდანვე დავგეგმეთ ისე, რომ ნებისმიერ განმანათლებელს, როდესაც ის გავიდოდა მოსახლეობაში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრების ჩასატარებლად, მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონოდა წარმოდგენილ საკითხებზე. ტრენინგებმა ნათლად აჩვენა, რომ ჩვენს მიერ შერჩეულ კანდიდატები მოსახლეობის აქტიურ ფენას მიეკუთვნება და გამოცდილებაც ნამდვილად საკმარისი აქვთ, თუმცა აქ მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები აუცილებლად დაეხმარება მათ საგანმანათლებლო კამპანიის განხორციელებაში“.

ნანული ჯაფარიძე, ადგილობრივი განმანათლებელი დაბა ხელვაჩაურში: „ბუნებით აქტიური ადამიანი ვარ და ჩემი ასაკის მიუხედავად, არ მქონდა უფლება მონაწილეობა არ მიმეღო პროექტში, თუმცა ვფიქრობ, რომ თუ ადამიანს საქმის კეთება სულით და გულით უნდა, ასაკი არ უშლის ხელს.

პროექტში ჩავერთე, კონკურსშიც გავიმარჯვე და სამდღიანი ტრენინგიც გავიარე. ვერ ვიტყვი, რომ კანონმდებლობას არ ვიცნობდი, არ ვიცოდი თვითმმართველობის ფუნქცია და დანიშნულება, მაგრამ უშუალოდ საქმის დანყების წინ ამ საკითხებზე თვალის გადავლება და ახალი ინფორმაციის მიღება სასარგებლოა.

42 წელია პედაგოგი ვარ, ლექციის და გაკვეთილის გადაცემა როგორც პედაგოგს არ მიჭირს, მაგრამ მოსახლეობის ფართო ფენებთან შეხვედრა და საუბარი, სადაც სხვადასხვა მენტალიტეტის, განათლების, ხასიათის და ასაკის ადამიანებთან მოგვინევს ურთიერთობა, უფრო საპასუხისმგებლო იქნება. იმისათვის, რომ პროექტი კარგად განხორციელდეს მეტი მომზადება, დაკვირვებულობა და კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება დაგვჭირდება. შევეცდები გამოვიყენო ჩემში არსებული ყველა რეზერვი, რათა დავაინტერესო ადამიანები, მომისმინონ და მივაღნიო შედეგს. ვფიქრობ, ამის უნარი გამაჩნია და მიხარია, რომ წელილს შევიტან მოსახლეობის ინფორმირებულობაში არჩევნებთან და თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით. 20 წელია ქართველები დამოუკიდებელ საქართველოს ვაშენებთ, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის ცნობიერებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ ძველებურადაა. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი თითოეულმა განმანათლებელმა შევეცადოთ მოსახლეობა დავარწმუნოთ, რომ იყვნენ აქტიურები, რადგან მათზეა დამოკიდებული მათი მომავალი და სწორედ ისეთი მთავრობა ეყოლებათ, როგოსაც აირჩევენ“.

დავით საფარიძე, ადგილობრივი განმანათლებელი ურეხის თემში: „არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება მაქვს, მაგრამ „ინტელექტთან“ ეს პირველი თანამშრომლობაა. მოხარული ვარ, რომ ახლგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდი, საზოგადოებისთვის საჭირო საქმიანობას ახორციელებეს. ტრენინგზე მიღებულ ინფორმაციას და მათ გამოცდილებას აქტიურად გამოვიყენებ ჩემს თემში საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

როდესაც მოსახლეობაში გავალთ სამუშაოდ, მართალია ყველა არ მოგვისმენს, მაგრამ, თუ ჩვენ – განმანათლებლები სერიოზულად მივუდგებით საკითხს, შევეცდებით ყველა ადამიანთან გამოვძებნოთ ურთიერთობის ფორმა და მათთვის მისაღებ ენაზე მოვანოდოთ ინფორმაცია, ყველაფერი გამოგვივა. თუ მოსახლეობაც დაინახავს, რომ ჩვენც პასუხისმგებლობით ვეკიდებით საქმეს, მოსახლეობაც გააქტიურდება.

ოცი წელია ჩვენს ქვეყანაში არჩევნები ტარდება, თითქოსდა გარკვეული გამოცდილება ამ კუთხით დაგროვდა, მაგრამ მოსახლეობა საბოლოოდ მაინც არ არის ინფორმირებული და ხშირად იმასაც კითხულობს რა არჩევნები ტარდება, ხშირად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

ნანული ჯაფარიძე

დავით საფარიძე

განმანათლებლებმა, რომლებიც თემებში იმუშავებენ, სპეციალური ტრენინგი გაიარეს

თალიკო ჯაყელი

ნარგული ვარშანიძე

უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს აიგივებენ, ამიტომ შევეცდები ჩემი თემის მოსახლეობას დაწვრილებით მივაწოდო ინფორმაცია. დავარწმუნო ისინი, რომ მივიდნენ არჩევნებზე და საკუთარი აზრი ყოველგვარი შიშის გარეშე დააფიქსირონ. განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ საარჩევნო პროცედურაზე და ავუხსნი, რომ საარჩევნო კაბინაში თვითონ შედის და არანაირი კონტროლის მექანიზმის არ უნდა შეეშინდეთ. სამწუხაროდ ეს შიში დღესაც არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენში სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებული არ არის და მანამდე დიდი გზა გვაქვს გასავლელი. „ჩვენი არჩევანი-რეალური თვითმმართველობა“ კი ადგილობრივ განმანათლებლებს მოგვცემს საშუალებას, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საქმეში.“

თალიკო ჯაყელი, ადგილობრივი განმანათლებელი მახინჯაურის თემში: „პროექტის არსი და დანიშნულება თავიდანვე მომეწონა, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე პროექტში ჩართვა.

პროექტში მთავარი მიზანია მოსახლეობის ფართო მასების ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლება, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული პრინციპების დანერგისათვის.

როგორც პედაგოგს დიდი შეხება მაქვს მშობლებთან და ზოგადად მახინჯაურის თემის მოსახლეობასთან, ამიტომ კარგად ვიცი მათი აზროვნების დიაპაზონი. მოსახლეობა არ არის მობილიზებული არჩევნებში საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად და თვლიან, რომ მათი მონაწილეობით რეალურ ზემოქმედებას ვერ მოახდენენ არჩევნების შედეგებზე. თუ ჩვენ გავალთ მოსახლეობაში და ავუხსნით, რომ თითოეულ ხმას, მათ პოზიციას, დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თემების განვითარებისთვის და ეს ისევ მათ მოუტანს შედეგს, ჩვენი მოსახლეობის აზროვნების თვალსაწიერი გაფართოვდება. პროექტის იდეაც ხომ ამაში მდგომარეობს და სწორედ ამიტომ ვიაქტიურე ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობისათვის. ტრენინგის გავლის შემდეგ უკვე დავიწყებთ მოსახლეობაში გასვლებს, რაშიც ტრენინგში მიღებული ინფორმაცია დაგვეხმარება. აღნიშნულმა ტრენინგმა დადებითად დაგვუხტა, რაც სამომავლო საქმიანობაში შეგვიწყობს ხელს.“

ნარგული ვარშანიძე, ადგილობრივი განმანათლებელი ურეხის თემში: „ეს პროექტი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დავაინტერესოთ საზოგადოება, პიროვნებებმა თავი აღიქვან საჭიროდ და მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში. არჩევნებში აქოურად ვეღებულობ მონაწილეობას და ნამდვილად ვიცი, რომ მოსახლეობა ნაკლებად გათვიცნობიერებულია ადგილობრივი თვითმმართველობი საკითხებში, არ იციან რას ნიშნავს არჩევნები და რა როლი ენიჭება თითოეულ მათგანს.

მართალია ჩემს ძალისხმევაზე ბევრი რამ არ იქნება დამოკიდებული, მაგრამ მაინც შევეცდები მცირეოდენი წვლილი შევიტანო სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში და დამაჯერებლად მივაწოდო ის ინფორმაცია, რაც ტრენინგებზე მივიღე და რა გამოცდილებაც გამაჩნია.

პროექტით გათვალისწინებულია მცირე ჯგუფებთან შეხვედრები, რაც გაცილებით ეფექტური იქნება, რაგდან უკეთ მოვუსმენთ ერთმანეთს. საინფორმაციო შეხვედრის მონაწილეთა 2/3—მა ადამიანმა მაინც რომ გაათვიცნობიეროს რაზე ვისაუბრეთ ჩავთვლი, რომ ჩემი მისია შესრულებულია. ტრენინგის მსვლელობის განმავლობაში მაქსიმალური ინფორმაცია მივიღე ყველა წარმოდგენილ საკითხზე, კმაყოფილი ვარ ტრენერების მომზადების დონითაც, მათ აქვთ გამოცდილება მოსახლეობასთან ურთიერთობის, რომლის გაზიარებაც გამოგვადგება სამომავლო საქმიანობაში“.

რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა

დემოკრატიის ხარისხის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, ნებისმიერ სახელმწიფოში, ყველა დონეზე მართვის პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობა წარმოადგენს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართვის პროცესებში თანამონაწილეობა ადგილობრივ დონეზე, ანუ იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც ყველაზე ახლოს დგას მოსახლეობასთან და რომელთა მიმდინარეობაც უშუალოდ აისახება მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფიერებაზე. ასეთი საკითხების გადასაწყვეტად და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსახლეობის ჩართვისათვის იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებობა, ეს არის მოქალაქეთა შესაძლებლობა და უფლება მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები თავიანთი ინტერესების შესაბამისად და მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. სწორედ ამ საფუძვლით და ამ პრინციპებზე დაყრდნობით იქნა მიღებული ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ 1985 წლის 15 ოქტომბერს. აღნიშნული ქარტია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2004 წლის 26 ოქტომბრის №515-II ს დადგენილებით.

თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების სისტემატური შეხვედრები მოსახლეობასთან, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა, პრიორიტეტების ერთობლივი განსაზღვრა, მოქალაქეთა მონაწილეობა მმართველობის პროცესებში სხვადასხვა კუთხით – ეს ის მექანიზმებია, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საკუთარი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან დაახლოებას განაპირობებს.

გამომდინარე აქედან:

„თვითმმართველობის ეფექტურად განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხალხი და ხელისუფლება პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ მოვალეობებსა და უფლებებს“

მოსახლეობას აქვს უფლება:

- მიიღოს კარგი მმართველობა;
- მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხების და გადაწყვეტილებების შესახებ;
- მონაწილეობდეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარების პროცესში.

მოქალაქის პასუხისმგებლობა მდგომარეობს შემდგომში:

- მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში;
- ითანამშრომლოს ადგილობრივ ხელისუფლებასთან;
- მიაწოდოს მას საკუთარი აზრი;
- გადაიხადოს გადასახადები.

მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლება ვოწოდებული უნდა იყოს:

- საზოგადოებას გაუწიოს კარგი ხელმძღვანელობა;
- უზრუნველყოს მოქალაქეთა ინფორმირებულობა, თვითმმართველი ერთეულისა და ამ ერთეულში შემავალი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- მისი საქმიანობა გახადოს გამჭვირვალე და იყოს ანგარიშვალდებული მოსახლეობის მიმართ;
- შეეცადოს მოსახლეობა აქტიურად ჩართოს გადაწყვეტილებების მიღების პრცესში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის შესაბამისად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებს და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას.

- ადგილობრივი თვითმმართველობა – საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობაა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.
- თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი, საკუთარი ქონება და ბიუჯეტი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, აღმასრულებელი ორგანო კი გამგეობა.
- საკრებულო შედგება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.
- თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირი არის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთ მეხუთედს.
- საკრებულოს თავმჯდომარე წარმოადგენს და მოქმედებს თვითმმართველი ერთეულის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, საერთო კოორდინაციას უწევს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და დამტკიცებული პროგრამების (ბიუჯეტის) შესრულებას და ახორციელებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს.
- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს მის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გადაყენებისას.
- საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით.
- საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობების შესრულებისას შეზღუდული არ არის ამომრჩეველებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანებების განაწესებითა და დავალებებით იგი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განვევა დაუშვებელია. დაუშვებელია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.
- თავისუფალი მანდატი საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს ამომრჩეველებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით.
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოა გამგეობა, რომელიც შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისაგან.
- გამგეობის საქმიანობას უძღვება გამგებელი, ის არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც ირჩევს საკრებულო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თავისი უფლებამოსილების ვადით.
- გამგებელი შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის დებულებასა და სტრუქტურას, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების დებულებებს, კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას, ისევნ სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.
- გამგებელი ამზადებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებების და გაუქმების თაობაზე ნორმატიული აქტების პროექტებს, უფლებამოსილია დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად გადაანაწილოს თანხები მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge